

ადმოსავლეთ საქართველოს ორი სხვადასხვა ტიპის წყალსატევის ზოოპლანქტონის თვისობრივი და რაოდენობრივი სტრუქტურის ფორმირების თავისებურებები

ზელიმხან კერესელიძე

[zelimkhan.kereselidze@tsu.ge](mailto:zelimkhan.kereselidze@tsu.ge)

ბიოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველო, 0143 თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა 2

### საკვანძო სიტყვები:

ზოოპლანქტონი, ევრიჰალინური ფორმები, ევტროფიკაცია, დომინირებული, თვისობრივი და რაოდენობრივი სტრუქტურა.

სიონისა და კუმისის წყალსაცავები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ლანდშაფტურ-გეოგრაფიული მდებარეობით, ზომით, გრუნტის ხასიათითა და ფორმით, ჰიდროლოგიური და ჰიდროქიმიური რეჟიმით. ამიტომ ზოოპლანქტონის თვისობრივი შემადგენლობის ფორმირება ამ ორ წყალსატევში ერთგვარი თავისებურებით ხასიათდება: სიონის წყალსაცავში ჯერ გაიზარდა სახეობების რიცხვი და მერე მკვეთრად შემცირდა; საბოლოოდ გაბატონდა ფილტრატორები. ასეთი ცვლილებები წყლის დონისა და აბიოტური და ბიოტური ფაქტორების მკვეთრი ცვლილებითაა განპირობებული. კუმისის წყალსაცავში სახეობების რიცხვი ფორმირების პერიოდში უფრო მკვეთრად შემცირდა და საბოლოოდ მტაცებლები გაბატონდნენ. შემორჩნენ ევრიჰალინური ფორმები. ეს ცვლილებები ძირითადად წყლის მარილიანობისა და ბიოტური ფაქტორების ცვლილებებთანაა დაკავშირებული. წყალსაცავებში ზოოპლანქტონის რაოდენობრივი სტრუქტურა წლის მანძილზე მკვეთრი ცვლილებებით ხასიათდება, რასაც განაპირობებენ: წყლის ჰიდრობიოლოგიური რეჟიმი, ბიოტური ფაქტორები (კვებითი ურთიერთდამოკიდებულება).

### ლიტერატურა:

- В. И. Жадин. Жизнь пресных вод СССР. Том 3. М., Л... 1950 г.
- А. В. Монаков, Труды биологической станции „Борок“, выпуск 3, 1958 г.
- Е. Ф. Мануйлова, Труды биологической станции „Борок“, выпуск 3, 1958 г.
- Н. А. Дзюбан, Труды шестого совещания по проблемам биологии внутренних вод, М., Л... 1959 г.
- Л. И. Лебедева, Бюллетень МОИП отдел биологический №6, 1961 г.
- Г. Б. Мельников, Гидробиологический журнал, том 2. №2. 1966 г.